ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2964690

ნომერი: AR1456955

თარიღი : 21.11.2016

გაცემის თარიღი : 29.11.2016

გაცნობის თარიღი : 30.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ტრაპაიძე პ/ნ 35001062333
- შარტავას ქუჩა N 35/37,ბინა 177

ორგანიზაცია:

- ჯეო-ქია ბილდინგ კოდი: 404519437

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1965650
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.06.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-დიდი ლილო, დიდი ლილო, შპს "Unique Co" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.81.08.03.897), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 10 ნოემბრის № ბ-345523/12 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის “პ” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდი ლილო, დიდი ლილო, შპს "Unique Co" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.81.08.03.897), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 10 ნოემბრის ბ-345523/12 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 29/06/2015წ. № 1965650 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა: ბ-345523/12 ბრძანების იმ ნაწილთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ეზოს მოპირკეთება სცდება საკადასტრო წითელ ხაზს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მოპირკეთება არ არის შეთანხმებული სამსახურის მიერ და დამკვეთი ვალდებულია მოიპოვოს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრ(ეებ)ის თანხმობა, სადაც არის გადასული აღნიშნული მოპირკეთება, ხოლო თუ მოპირკეთება იჭრება საზოგადოებრივ სივრცეში დასაშვებზე მეტად - მოიპოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.